



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №201

2016 წლის 27 ოქტომბერი

ქ.მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული 2016 წლის სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-16 მუხლის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №47 დადგენილებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ოთარ ჩხეიძის 2016 წლის 17 ოქტომბრის №34/03/1 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული 2016 წლის სექტემბრის თვის ხარჯი 397 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარისა და 50 (ორმოცდაათი) თეთრის ოდენობით დანართი №2 შესაბამისად, აუნაზღაურდეთ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგ წევრებს:

- 1.1 იოსებ კავსაძეს;
- 1.2 თემირ ლელუაშვილს;
- 1.3 თეიმურაზ მირესაშვილს;
- 1.4 გიორგი ჭინჭარაულს;
- 1.5 მიხეილ სტეფნიაშვილს;
- 1.6 მირიან პავლიაშვილს;
- 1.7 გურამ ანსიანს;
- 1.8 ნუგზარ ჩანადირს;
- 1.9 თამაზ ნათელაშვილს;
- 1.10 დავით ვალიშვილს;
- 1.11 თინა ხუბაშვილს;
- 1.12 თამაზ ფოლოდაშვილს;
- 1.13 გიორგი სარდლიშვილს.



2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

2.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი